პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 სექტემბერი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 174 (9585) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოდით, ერთად დავისვენოთ

ფერადი ვიტრაჟების, ლამაზი პანოების ქარვასლას თბილისის რესპუბლიკის მოედნის ესტაკადის ქვეშ ახალგაზრდული როდი ეწოდება. მისი ოფიციალური სახელწოდებაა სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ცენტრი, მაგრამ იგი გაიხსნა 6 სექტემბერს, სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ახალგაზრდული სეირნობის დღეს.

ცენტრის მშენებლობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები მესამე შრომითი სემესტრის დროს, მოსე თოიძის სახელობის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლენი, შაბათობებზე კი თბილისის ახალგაზრდობა გამოდიოდა.

საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის მეშვიდე სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელმა, ოცდაათი წლის ნიკო მდივანმა თქვა, რომ აქ სამუშაოები მხოლოდ ახლა დაიწყო და მზად არის მხოლოდ ზემო მესამე სართული. ოცი წლის ლეონა ჩიბურდანიძე ნატალია ფეხმაშვილთან ერთად გვთავაზობს ხალხური საგუნდო მუსიკის ჩანაწერებს, რომელსაც აქ იტაცებენ. მუსიკალური განათლება ლეონას შესაძლებლობას აძლევს დააკმაყოფილოს ყველას გემოვნება. „სოლანის“ სალონის ახალგაზრდა გამყიდველი ზინაიდა კვალიაშვილი მარჯვედ ვაჭრობს ხალხურ ხელმარჯვეთა ნაწარმით. მაღაზია „ფრესკა“ მყიდველებს სთავაზობს მხატვრული ლიტერატურის უკანასკნელ სიახლეებს. ქართველის სალონები — ეს არის ყვავილები და მუსიკა, სურათები და კერამიკა, სუვენირები და მოპატიჟება... „უჩინმაჩინში“.

ახლო მომავალში აქ გაიხსნება აეროფლოტის სალაროები, კინოთეატრი, სხვა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები.

„მოდით, ერთად დავისვენოთ“ — ეს იყო დღესასწაულის დევიზი, ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლები ესტრადის მოყვარულებს იწვევდნენ. ახალგაზრდა მხატვრები თავიანთ სურათებს სთავაზობდნენ მოსულთ. რუსთაველის პროსპექტზე, რომელიც ამ დღეს ტრანსპორტისათვის დაიკეტა, ნორჩებმა ნახეს ქართული და რუსული თოჯინების თეატრების სპექტაკლები.

მუსიკა და ყვავილები. კეთილი ხუმრობა გაისმოდა ამ დღეს ახალგაზრდულ დისკოთეკაზე. სერიოზული საჭადრაკო ბატალიების მოყვარულებს იწვევდნენ მოედანზე, სადაც ერთდროული თამაში მიმდინარეობდა სამას დაფაზე. მოდის მოყვარულებს გააცნეს 1988 წლის ახალი მოდელები. რესპუბლიკის მოედანზე გამართულმა სტუდენტურმა მეჯლისმა ყველა მსურველი ვერც კი დაიტია. სეირნობა გვიან ღამემდე გაგრძელდა, ახალგაზრდულ ზეიმში მონაწილეობდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. გლურჯიძე, ო. ე. ჩერქეზია, ჯ. ვ. მარგველიძე, ნ. რ. საჯაია.

(საქინფორმი).

ზეიმი, რომელსაც ნაღველიც ახლდა

კვირას თბილისში დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის წყალში მხტომელთა სამატჩო შეხვედრა, გუშინ კი ასპარეზობა დაასრულეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ სერგო შალიბაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო შეჯიბრების მონაწილეებმა.



შალიბაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ყველაზე დიდი ინტერესით კოშკიდან მხტომელი ვაჟების გამოსვლას ველოდით, რადგან თბილისელი სპორტსმენი წარმატებებს ძირითადად სწორედ ამ სახეობაში აღწევდა.

საინტერესოა, რომ სერგო შალიბაშვილის სახელობის პრიზი პირველად ამ ორი წლის წინათ თბილისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე დაწესდა. მაშინ პრიზი გიორგი ჩოგოვაძემ დაიმსახურა. ეს იყო თავისებური სიმბოლური ესტაფეტა, რადგან ჩოგოვაძეც თბილისელი გახლდათ და, ამასთან, იგი შალიბაშვილის მემკვიდრედ მიაჩნდათ. სწორედ მაშინ დაიბადა იდეა, რომ სერგო შალიბაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი ჩაეტარებინათ და ტრადიციად ექციათ,

კვირას თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში კოშკიდან ხტომაში ყველას აჯობა ვორონეჟელმა ევროპის თასის მფლობელმა, ჩვენი ქვეყნის შარშანდელმა ჩემპიონმა გენადი სტარადუბცევმა (568,41).

— მე და სერგო შალიბაშვილი მეტოქეები ვიყავით, მაგრამ ეს მეგობრობაში ხელს როდი გვიშლიდა, — ამბობს სტარადუბცევი. — გუშინდელივით მახსოვს 1982 წელი, თბილისი, საკავშირო თასის გათამაშება. მაშინ მე და სერგო გამარჯვებისთვის ვიბრძოდით. იმ დროისთვის სერგო უკვე თასის სამგზის მფლობელი იყო და კვლავ მაჯობა, მეორე ადგილი დაიკავა, მე კი მესამე ვიყავი. სერგოს დალუპვამ ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული...

სტარადუბცევმა კოშკიდან ხტომაში საკმაოდ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. მეორე იყო ზაპოროჟიელი სერგეი გურილოვი (505,32), ხოლო მესამე — მინსკელი სერგეი კუდრევიჩი (417,88).

გუშინ, ასპარეზობის ბოლო დღეს, გამოვლინდნენ პრიზიორები კოშკიდან მხტომელ ქალთა შორის. აქ უძლიერესის სახელი დაისაკუთრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლემ, საკავშირო თასის მფლობელმა ანა როსტიაშვილმა (428,51). მეორე იყო მისი თანაგუნდელი დიანა მჭედლიძე (422,04), რომელმაც ორიოდე დღით ადრე 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა. მესამე ადგილი წილად ხვდა ბაქოელ ოლგა ვოლჩკოვას (397,34).



ეროვნული ბიბლიოთეკა

გენადი სტარადუბცევი

მაშ ასე, დამთავრდა წყალში მხტომელთა საკავშირო შეჯიბრება, რომელიც სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთათვის ერთგვარი ზეიმი იყო, მაგრამ მას ნაღველიც თან ახლდა.

განზრახულია ეს შეჯიბრება ტრადიციული გახდეს და იმედია იგი უფრო წარმომადგენლობითი და საინტერესო გახდება.

იხ. მე-4 გვ.

ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში

ლიდერთა კვარტეტი

პერესი (ესპანეთი). გრძელდება კალათბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირები. სსრ კავშირის ნაკრებმა მეორე მატჩი რუმინეთის გუნდს მოუგო — 95:52 (47:25). ამავე ქვეჯგუფში შვედებმა ფრანგები დაამარცხეს — 83:78, უნგრეთის ნაკრებმა კი პოლონეთის გუნდს აჯობა — 103:83.

მეორე ქვეჯგუფის მატჩები პუერტო დე სანტა მარიაში (კადისში) ტარდება. აქ იუგოსლავიელებმა ბულგარელები 2 ქულის სხვაობით (73:71) დაამარცხეს. ასეთივე სხვაობა დაფიქსირდა ჩეხოსლოვაკიისა და ესპანეთის კოლექტივების შეხვედრაში — 49:47. იტალიელებმა ფინელებს აჯობეს — 87: 69.

ორი ტურის შემდეგ პირველ ჯგუფში საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის გუნდები დაწინაურდნენ. მათ 4-4 ქულა აქვთ. მეორე ჯგუფში უდანაკარგოდ ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის კოლექტივები იბრძვიან.

მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში

ბოლო სტარტები

რომი. მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი „ფორო იტალიკოს“ ოლიმპიურ სტადიონზე სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრებით დამთავრდა. სამმა სპორტსმენმა — პატრიკ შებერგმა (შვეიცია), იგორ პაკლინმა და გენადი ავდეენკომ (ორივე — სსრ კავშირი) ერთნაირი შედეგი (238 სმ) აჩვენა, მაგრამ უპირატესობა შვედ მძლეოსანს მიენიჭა, რომელმაც აღნიშნული სიმაღლე პირველივე ცდით დაიპყრო. მსოფლიოს რეკორდსმენი ახლა მსოფლიო ჩემპიონიც გახდა. ფრუნზელ პაკლინსა და ოდესელ ავდეენკოს ყველა სხვა მაჩვენებელი ერთნაირი აღმოაჩნდათ და ამიტომ ორთავეს ვერცხლის მედალი გადაეცა.

მანამდე კი... 5000 მეტრზე რბენაში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია მაროკოელმა საიდ აუიტამ (13.26,44). ეს მისი მეორე ოქროს მედალი იყო ამ ჩემპიონატში.

პროგრამის დანარჩენ სახეობებში გაიმარჯვეს: ვაჟებში. ჭოკით ხტომა — სერგეი ბუბკა (სსრ კავშირი) — 585 სმ; სიგრძეზე ხტომა — კარლ ლუისი (აშშ) — 8მ 67 სმ; ესტაფეტა 4X100 მ — აშშ — 37,90; 1500 მ რბენა — აბი ბილე (სომალი) — 3.35,80.

ქალები. ესტაფეტა 4X100 მ აშშ — 41,58; ესტაფეტა 4X400 მ გდრ — 3.18,63; 1500 მ რბენა — ტატიანა სამოილენკო (სსრ კავშირი) — 3. 58,56; ბირთვი — ნატალია ილისოვსკაია (სსრ კავშირი) — 21,24 მ; შუბი — ფატიმა უიტბრიდი (დიდი ბრიტანეთი) — 76,64 მ.

ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

ნდობა გაამართლეს

ინინი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობენ. გიორგი ხინჩიგაშვილი, მაგალითად, გორიდანაა, მეორე გიორგი — ივანიშვილი — ყვარლიდან, აკაკი გაბედავა კი სამტრედიიდან. პოლონეთში გამგზავრების წინ სამივე ჭაბუკი მოჭიდავე ერთ გუნდში ჩაირიცხა ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში, რომელსაც თავისუფალი სტილის ათლეტთა ევროპის ჩემპიონატზე უნდა ეასპარეზა.

ის ფაქტი, რომ ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა სხვა მოჭიდავეებთან ერთად სამ ქართველ ჭაბუკს დაევალა, თავისთავად დიდი პატივია, მაგრამ კიდევ უფრო ხასიხარულო ის იყო, რომ ამ პრესტიჟულ ტურნირში სამივემ ნდობა გაამართლა და შინ ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლებით ბრუნდებიან.

გიორგი ხინჩიგაშვილი (63 კგ) და აკაკი გაბედავა (81 კგ) პროფკავშირული „სპორტსაზოგადოების“ წარმომადგენლები არიან, გიორგი ივანიშვილი კი (68 კგ) „შრომითი რეზერვებიდანაა“. სამივე მოჭიდავესა და მათ მწვრთნელებს ვუსურვებთ ამ გამარჯვებას.



უბანი—უბანს

5 და 6 სექტემბერს ფეხბურთის მრავალრიცხოვანმა მოყვარულმა თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსს მიაშურა. აქ დაიწყო და თითქმის ორ თვეს გასტანს თბილისის პირველობა მინიფეხბურთში ქალაქის უბნების გუნდებს შორის. ფინალური მატჩი, ისევე, როგორც შარშან, წლეულსაც ოქტომბრის ბოლო კვირას „თბილისობის“ დღესასწაულზე გაიმართება.

ფეხბურთელებმა იმედი არ გაუცრუეს გულშემატკივრებს, ითამაშეს როგორც შეეძლოთ და, შეიძლება, ცოტა უკეთაც.

დამთავრდა გათამაშების პირველი ტური, ცხრილი პირველი შედეგებით შეივსო. პირველობა ძალას იკრებს. არ გვინდა ამ საზეიმო განწყობას ოდნავი ჩრდილი მივაყენოთ, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ არაკვალიფიციური მსაჯობა, თუმცა საფეხბურთო მარათონი წინაა და, იმედი გვაქვს, მსაჯებიც მოაგვარებენ თავიანთ პრობლემებს.

სხვა მხრივ საყვედური არ გვეთქმის. შეჯიბრება ჩინებულად არის ორგანიზებული, თამაშები ზუსტად დათქმულ დროს იწყება, გამართულად მუშაობს ტაბლო, ფეხბურთელებს ყველა პირობა შეუქმნეს.

5 სექტემბერს გამართული შეხვედრების შესახებ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოგახსენეთ. ახლა გთავაზობთ მეორე დღეს ჩატარებული მატჩების შედეგებს: „დიდუბე“ — „დიმიტროვის დასახლება“ 9:1, „საბურთალო-1“ — „ორთაჭალა“ 7:1, „მუხიანი“ — „ნაძალადევი“ 1:3, „სოლოლაკი“ — „ვაკე-2“ 3:5, „პლეხანოვი“ — „თემქა“ 2:5.

თამაშობენ „დიდუბე“ და „დიმიტროვის დასახლება“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

თბილისის პირველობა

მორიგი, მეორე ტური გაიმართება 12 და 13 სექტემბერს, გაგაცნობთ შეხვედრათა განრიგს:

12 სექტემბერი, შაბათი: 12 საათი. „ვერა“ — „გლდანი“, 13 ს. 15 წთ. „საბურთალო“-2 — „ორხევი“, 14 ს. 30 წთ. „ვაკე“-1 — „ოქროსუბანი“, 15 ს. 45 წთ. „ისანი“ — „სანზონა“, 17 ს. „დიღომი“ — „ვეძისი“, 18 ს. 15 წთ. „რუსთაველი“ — „წყნეთი“.

13 სექტემბერი, კვირა: 12 ს. — „დიდუბე“ — „სვანეთის უბანი“, 13 ს, 15 წთ. „დიმიტროვის დასახლება“ — „მთაწმინდა“, 14 ს. 30 წთ. „საბურთალო“-1 — „მუხიანი“, 15 ს. 45 წთ. „ორთაჭალა“ — „ნაძალადევი“, 17 ს. „სოლოლაკი“— „პლეხანოვი“, 18 ს. 15 წთ. „ვაკე“-2 — „თემქა“.

ზაზა კახაძე.

რედაქციისაგან: თბილისის უბნების გუნდების პირველობაზე გაურკვევლობა გამოიწვია ერთმა საკითხმა: შეუძლია თუ არა მოთამაშეს ამ შეჯიბრებაში დაიცვას ორი გუნდის ღირსება? განვმარტავთ — მოთამაშეს, რომელმაც ერთი რომელიმე გუნდის შემადგენლობაში ითამაშა, უფლება არა აქვს გამოვიდეს სხვა გუნდის სახელით. აღნიშნული წესი საგანგებოდ დაემატება არსებულ დებულებას, იგი ძალაში შევა პრესაში გამოქვეყნების შემდეგ.

რეგბი

რუგბორც იცით, მოსკოვში დაიწყო რუგბისტთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. მეორე ტურში საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა დაამარცხა პოლონეთის გუნდი — 23:9 (7:6), რუმინელებმა მოუგეს ჩვენი ქვეყნის პროფკავშირული გუნდების ნაკრებს — 3:0. ტურნირს 5 ქულით ლიდერობს საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები.

უპასუხისმგებლობა, გულგრილობა

ვაგრძელებთ საქართველოს სპორტსახკომის, განათლების სამინისტროს და „ლელოს“ ერთობლივი რეიდის მასალების გამოქვეყნებას იმის შესახებ თუ როგორ მოამზადეს ახალი სასწავლო წლისთვის სპორტული ბაზები სბავშვო ბაღებმა, პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა, ტექნიკუმებმა, საშუალო სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა. რეიდის მონაწილეები ამჯერად ეწვივნენ საგარეჯოს, ახმეტის, ყვარლის, გორის, ხაშურის რაიონებსა და ქუთაისს.

ახალი სასწავლო წლისთვის მზადების პერიოდი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ყველა სასწავლებლის ცხოვრებაში. სასწავლებლის ხელმძღვანელები თავს არ უნდა ზოგავდნენ, რომ მომზადებული შეხვდნენ ცოდნის დღესასწაულს, გაარემონტონ, განაახლონ ყველაფერი. შეიძინონ საჭირო ინვენტარი. სამწუხაროა, მაგრამ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ყველა როდი ეკიდება სათანადო გულისყურით. დღევანდელ სარეიდო მასალებში ძირითადად სწორედ მათზე გვექნება საუბარი.

საგარეჯოს რაიონში ოთხი საშუალო სკოლიდან მხოლოდ მანავის მე-2 საშუალო სკოლაში იყო მოწესრიგებული სპორტული ბაზები, რასაც ვერ ვიტყვით საგარეჯოს მე-4, ჩაილურისა და კაკაბეთის საშუალო სკოლებზე.

საგარეჯოს სკოლაში ჯერ კიდევ სპორტულ დარბაზში იდგა გამოსაშვები გამოცდების დროს შეტანილი მერხები და სკამები. იატაკი ანტისანიტარიის ბუდედ იყო გადაქცეული. სპორტული ინვენტარი მიეყარათ ერთ კუთხეში დაუდევრად, ასეთივე სურათი დაგვხვდა ფიზკულტურის მასწავლებლის ოთახში, სადაც დოკუმენტაცია უწესრიგოდ იყო მიყრილი.

უარესი მდგომარეობა ვიხილეთ ჩაილურის სკოლის სპორტულ დარბაზში. აქ გაკვეთილის ჩატარება მართლაც დიდ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან იატაკი რამდენიმე ადგილას ჩაწოლილა, კედლები კი ჩამონგრეულია. ინვენტარს რაც შეეხება, საერთოდ არ ჰქონდათ. ღია სპორტული მოედნები დაუხაზავი, და მოუვლელი დაგვხვდა.

კაკაბეთის სკოლის დარბაზში არც კალთბურთის ფარები, არც ფრენბურთის ძელები. შეუღებავი იყო კედლები. რაც შეეხება მარტივი ტიპის მოედნებს, მათ აშკარად აკლდა მზრუნველი კაცის ხელი. განსაკუთრებით „შთამბეჭდავად“ გამოიყურებოდა ფიზკულტურის მასწავლებლის ოთახი. როგორც ჩანს, მას „ღია გაკვეთილისთვის“ იყენებენ. ამაში დაგვარწმუნა წვიმისგან ჩამორეცხილმა კედლებმა.

ყვარლის რაიონში საშუალო სკოლების გარდა ბაგა-ბაღს, სკოლა-ინტერნატს და პროფტექნიკურ სასწავლებლებსაც ვეწვიეთ. ბოლო ხანს ყვარლის რაიონს ბევრი სპორტული ბაზა შეემატა, მაგრამ როგორც ჩანს, გასაკეთებელი მაინც საკმაოდ დარჩა. ჩვენს მიერ დათვალიერებული ობიექტებიდან მხოლოდ ყვარლის რუსული საშუალო სკოლის მიმართ არ გვეთქმის საყვედური. სხვებთან შედარებით მოვლილი დაგვხვდა ქალაქის პირველი საშუალო სკოლის და 8-წლიანი სკოლა-ინტერნატის სპორტული ბაზები. რაც შეეხება ენისელის საშუალო სკოლას, აქ, რომ იტყვიან, თითი თითზე არ იყო დაკარებული. დარბაზში ეყარა მოუვლელი ინვენტარი, დაგლეჯილი ლეიბები. ასევე მოუვლელი იყო ღია სპორტული მოედნები და აუზი.

მეტი გულისყურის გამოჩენა მართებს ყვარლის მე-2 ბაგა-ბაღის ხელმძღვანელობას. მუსიკალურ-ფიზკულტურული ოთახი ძირითადად მზად იყო, მაგრამ მოვლა-პატრონობა აშკარად აკლდა ბაღის ტერიტორიაზე არსებულ სათამაშო მოედნებს.

ახმეტის რაიონში მხოლოდ პირველი საშუალო სკოლის ბაზებმა დატოვა უსიამოვნო შთაბეჭდილება, დარბაზში — უსუფთაობა, გასახდელებში — ანტისანიტარია; ღია მოედნები — დასახაზი, სახტომი ორმო — მწყობრიდან გამოსული, აი, ასეთი გახლდათ საერთო სურათი. მოწესრიგებული იყო მე-2 საშუალო სკოლისა და № 1 ბაგა-ბაღის სპორტული ბაზები. აქვე გვინდა ქებით მოვიხსენიოთ ზემო ალვანის საშუალო სკოლა, რომელიც წელს გაიხსნა. აქ მშენებლებს (საქაგრომრეწვის ტრესტის № 12 მოძრავ-მექანიზებული კოლონა № 69) ყველაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ დროულად ჩაეგარებინათ მაღალხარისხოვანი სპორტული ბაზები. დამთავრების სტადიაში იყო საცურაო აუზი (25X10).

ბორის თინა იოსებიძის სახელობის № 39 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში სპორტული დარბაზის მოსაწყობად ორი ოთახი გაუერთიანებიათ. აქ სარემონტო სამუშაოები დამთავრებული იყო, მაგრამ წლების განმავლობაში საშველი არ დაადგა ღია სპორტულ მოედნებზე ასფალტის დაგებას.

ბორის ეკონომიკის ინსტიტუტში ბაზები თითქმის მოწესრიგებულია. ოღონდ ესაა, რომ საშხაპეები მწყობრიდან არის გამოსული და არც საცურაო აუზის რემონტის ტემპია დამაკმაყოფილებელი.

საბავშვო სახლს რომ განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება, ამის მტკიცება ალბათ ზედმეტია. ძალიან გაგვიკვირდა, როდესაც ხაშურის რაიონის დაბა სურამის დიმიტროვის სახელობის საბავშვო ბაღში სრულიად საპირისპირო სურათი ვიხილეთ. აქ რემონტი დაიწყეს მხოლოდ საბავშვო სახლის ადმინისტრაციის დაყენებული მოთხოვნის შემდეგ. საოცარია ისიც, რომ მათ არავითარ პრაქტიკულ დახმარებას არ უწევს ფიზკულტურის ადგილობრივი კომიტეტი. გულგრილობით ზემოთ დასახელებულთ არ ჩამორჩებიან შეფები — ხაშურის მექანიკური ქარხანა და სურამის კოლმეურნეობა. ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში სპორტულ ოთახში იატაკს აგებდნენ, მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. მოსავლელია სპორტული მოედნები, არ ჰყოფნით ინვენტარი.

ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის საშუალო სკოლაში მოწესრიგებული დაგვხვდა სპორტდარბაზი, თუმცა აკლიათ სპორტული ინვენტარი. მისახედია ღია სპორტული მოედანი.

ჩვენი რეიდი ქუთაისში დამთავრდა. აქ დათვალიერებულ 8 სასწავლებელში ძირითადად წესრიგი დაგვხვდა. ტერიტორიის უჭონლობის გამო მხოლოდ კულტსაგანმანათლებლო და სამედიცინო სასწავლებლებს არა აქვთ მოედნები. ამ უკანასკნელში გვაჩვენეს სპორტული დარბაზის პროექტი, რომლის მშენებლობა გაურკვეველი ვადითაა შეჩერებული. სასწავლო წლის დაწყებას მოუმზადებელი შეხვდა ავტომექანიკური ტექნიკური ტექნიკუმი. აქ დარბაზის კედლები შეღებილია, მაგრამ არ დგას კალათბურთის ფარები და ფრენბურთის ძელები. მხოლოდ მაშინ მონტაჟდებოდა ტანვარჯიშული კედელი. ღია სპორტული მოედნები მოხრეშილია, მაგრამ ასფალტს მხოლოდ ოქტომბერში დააგებენ.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით მკითხველს არ გაუჭირდება იმ დასკვნის გაკეთება, რომ ბევრმა ხელმძღვანელმა ფეხი ჯერ კიდევ ვერ აუწყო გარდაქმნის დღევანდელ მოთხოვნებს. სხვანაირად ძნელი წარმოსადგენია ის უპასუხისმგებლობა და გულგრილობა, რასაც ზოგიერთი მათგანი იჩენს საქმისადმი.

სარეიდო ბრიგადა.

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა დამატებითი მატჩ-ტურნირი, რომელმაც უნდა გამოავლინოს მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინის კიდევ ორი პრეტენდენტი. „ბედნიერ“ ხაგზურებს ერთმანეთს შეეცილებიან მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, საერთაშორისო დიდოსტატები ირინა ლევიტინა და ჩეხოსლოვაკიელი ელიშკა კლიმოვა.

წილისყრის შედეგად, I ტურში, რომელიც დღეს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან ლევიტინა და გაფრინდაშვილი. დასაწყისი 15 ს. 30 წ.

სმედერევსკა-პალანკიდან თბილისამდე

ნონა გაფრინდაშვილის, ირინა ლევიტინასა და ელიშკა კლიმოვას დამატებითი სამწრიანი მატჩ-ტურნირი პრეტენდენტთა შეჯიბრების ორი საგზურისთვის ძალზე საინტერესო უნდა გამოდგეს. თითოეულ პარტიას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთ მოკლე და ძნელ დისტანციაზე ერთი დამარცხებაც კი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. ამიტომ წარმატებას, ეტყობა, ის მიაღწევს, ვინც შემართებას სიფრთხილესაც შეუხამებს.

როცა რომელიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრება იწყება, სპეციალისტები წინა ტურნირებსაც გადახედავენ ხოლმე, იმ უახლოეს პაექრობებს, რომლებშიც ახლანდელი მეტოქეები ერთად გამოდიოდნენ. ასეთი კი, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენებათ, სმედერევსკა-პალანკის (იუგოსლავია) საზონათშორისო ტურნირი იყო. როგორ ითამაშეს ახლანდელმა მოწინააღმდეგეებმა სმედერევსკა-პალანკაში?!

ტურნირის წინ იუგოსლავიელი მიმომხილველები I ადგილის მთავარ პრეტენდენტად ცხადია, ნონა გაფრინდაშვილს ასახელებდნენ. მაღალ შეფასებას აძლევდნენ ირინა ლევიტინას და ელიშკა კლიმოვასაც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკიელმა მოჭადრაკემ ჩინებულად ითამაშა უნგრეთში გამართულ ზონალურ ტურნირში, სადაც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და პირველი პრიზი მოიპოვა.

უკვე პირველმა ტურმა ორი მოულოდნელობა მოიტანა: გაფრინდაშვილი თეთრებით დამარცხდა ახალგაზრდა იუგოსლავიელ ალისა მარიჩთან, ხოლო კლიმოვამ კი თეთრებით 42-ე სვლაზე მოუგო ლევიტინას! მომდევნო ორ შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიელმა დიდოსტატმა დაამარცხა შედარებით სუსტი მეტოქეები და სამი ტურის შემდეგ ასპროცენტიანი შედეგით ლიდერი გახდა. ამ მომენტისთვის გაფრინდაშვილსა და ლევიტინას 1,5-1,5 ქულა ჰქონდათ. IV ტურიდან ბრძოლა გამწვავდა: უნგრელმა ილდიკო მადლმა პირველი მარცხი აგემა კლიმოვას და მარტა ლიტინსკაიასთან ერთად 3,5 ქულით დაწინაურდა. გაფრინდაშვილმა და ლევიტინამ ყაიმით დაამთავრეს თავიანთი პარტიები. საერთოდ, მომდევნო ტურებში კლიმოვამ თამაში გააუარესა, მან მეექვსე ტურში მარიჩთან წააგო, საბჭოთა მოჭადრაკეები კი თანდათანობით აუმჯობესებდნენ შედეგებს. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ 6 ტურის შემდეგ პირველ ხუთეულში არც ისინი შედიოდნენ და არც კლიმოვა, შეჯიბრების ბოლომდე კი 9 ტური რჩებოდა.

8 ტურის შემდეგ ლევიტინა 5,5 ქულით გათამაშების ცხრილში III-V ადგილებს იყოფდა, გაფრინდაშვილი კლიმოვასთან ყაიმის შემდეგ (თეთრებით) 5 ქულით VI-VII ადგილზე იყო, კლიმოვას მდგომარეობა კი თითქმის კრიტიკული გახდა — იგი 4,5 ქულით მადლთან VIII-IX ადგილებს იყოფდა.

IX-X ტურებში ნონამ ბრწყინვალედ ითამაშა. მან ჯერ იუგოსლავიელი გორდანა მარკოვიჩი დაამარცხა, ხოლო შემდეგ ტექნიკურად უზადოდ წარმართა რთული დაბოლოება ლიტინსკაიასთან, სადაც მხედრის წინაალმდეგ კუს უპირატესობა გამოიყენა. ეს ლიტინსკაიას პირველი დამარცხება იყო. გაფრინდაშვილმა 7 ქულით IV ადგილზე გადაინაცვლა და ლიდერებს მიუახლოვდა, კლიმოვას ბოლო ორი პარტიის მოგების შემდეგ ისევ მიეცა სამეულში მოხვედრისთვის ბრძოლის შანსი (მას 6,5 ქულა ჰქონდა). ლევიტინა დამარცხდა მარიჩთან, ერთი პარტია გადადო და სატურნირო ცხრილში აშკარად გაიუარესა მდგომარეობა.

XI ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ძველი მეტოქეების — ლევიტინასა და გაფრინდაშვილის პარტიამ, რომელიც 45-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. კლიმოვამ ინგლისელი არკელი დაამარცხა. გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ გაფრინდაშვილსა და კლიმოვას 7,5-7,5 ქულა ჰქონდათ, ლევიტინას — 7. წინ კვლავ ლიტინსკაია და მარიჩი იყვნენ (8-8 ქულა).

მეტად მძაფრი სიტუაცია შეიქმნა ბოლო, XV ტურის წინ. პრეტენდენტთა ტურნირის საგზურის მოსაპოვებლად კლიმოვას სავსებით ჰყოფნიდა ყაიმი, მაგრამ იგი შავებით თამაშობდა ლიტინსკაიასთან, რომელსაც მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს. რა მოხდა ამ პარტიაში? კლიმოვამ გადაწყვიტა დაებინა მეტოქე და ბენონის დაცვის იშვიათი ვარიანტი აირჩია. ამას მისთვის კარგი არაფერი მოუტანია. ლიტინსკაიამ უპირატესობა მიიღო, მოიგო პაიკი, შემდეგ მეორეც და გაიმარჯვა. ინა იზრაილოვასთან (აშშ) გამარჯვების შემთხვევაში გაფრინდაშვილი ასევე პრეტენდენტთა ტურნირის საგზურს მოიპოვებდა. თავის მხრივ, ამერიკელსაც მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, რათა დიდოსტატის ბალი მოეპოვებინა. ერთი სიტყვით, ყაიმი არც ერთ მხარეს არ სურდა, მაგრამ ბოლოს შეხვედრა მაინც ასეთი შედეგით დასრულდა, მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ექსჩემპიონმა ვერ გამოიყენა უპირატესობა. ლევიტინას შედარებით სუსტი მეტოქე ჰყავდა — კუბელი დე არმასი და მოუგო კიდეც პარტია.

მაშ ასე, ლიტინსკაია 11 ქულით I ადგილზე გავიდა, გაფრინდაშვილმა, ლევიტინამ და კლიმოვამ კი 10,5-10,5 ქულით II-IV ადგილები გაიყვეს. საჭირო გახდა დამატებითი შეჯიბრების გამართვა.

...თუ რამდენადმე უფერულ სტარტს არ გავთვალისწინებთ, ნონა გაფრინდაშვილმა ამ შეჯიბრებაში ძლიერად და ენერგიულად ითამაშა, თუმცა, მართალია, ორიოდე შემთხვევაში მან ვერ შეძლო საგრძნობი უპირატესობის გამოყენება. როგორც ყოველთვის, ლევიტინამ კარგი სადებიუტო მომზადება და შემართება გამოავლინა. ლენინგრადელმა მოჭადრაკემ ორი პარტია წააგო შავი ფიგურებით, როცა სათანადო მომზადების გარეშე შეეცადა ინიციატივის დაუფლებას. ყურადღებას იპყრობს ერთი ფაქტი: კლიმოვა წლეულს ყველა შეჯიბრებაში ჩინებულად თამაშობს. გაიმარჯვა ზონალურ ტურნირში, საპრიზო ადგილზე გავიდა იერში (საფრანგეთი), სადაც მას მხოლოდ ნონა გაფრინდაშვილმა და ნანა იოსელიანმა გაუსწრეს, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა მან სმედერევსკა-პალანკაშიც. აი, მისი ერთ-ერთი პარტია:

ე. კლიმოვა — ჟ. ჩავესი

ბენონის დაცვა

1. d4 ∂f6 2. ∂f3 c5 3. d5 d6 4. ∂c3 e5 5. e4 ∫e7 6. ∫b5+ ∂bd7 7. a4 0—0 8. h3 ∂h8 9. ∫e2 ∂e8 10. g4 g6 11. ∫e3 ∂g7 12. ∫d3 ∂φh8 13. ∫h6 f6 14. ∫e3 f5 15. gf gf 16. ef ∂:f5 17. ∫:f5 ∂:f5 18. h4 ∂f6 19. ∫d3 ∫f8 20. ∂g5 ∂g4 21. ∂ce4 h6 22. f3 hg 23. hg+ ∂φg8 24. fg.

შავები დანებდნენ, რადგან დიდი მატერიალური ზარალის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა.

სმედერევსკა-პალანკის საზონათშორისო ტურნირი საკმაოდ ძლიერი, მაგრამ მაინც არათანაბარი შემადგენლობით გამოირჩეოდა. აქ ფავორიტებს შეეძლოთ ე. წ. აუტსაიდერების ხარჯზე ფონს გასვლა. თბილისში, რა თქმა უნდა, სულ სხვა სიტუაციაა. სამი პირველხარისხოვანი დიდოსტატის შეჯიბრებაში შეიძლება გამოცდილებამ გადასწონოს, მაგრამ შეიძლება ახალგაზრდობამ თქვას თავისი სიტყვა. თუ რომელი ფაქტორი იქნება უფრო მნიშვნელოვანი, ამას თვით სამწრიანი მატჩ-ტურნირი გვიჩვენებს. ერთი კია, ჩვენ ყველას დიდი იმედი გვაქვს ჩვენი თანამემამულისა, გვჯერა მისი და არცთუ უსაფუძვლოდ. ნონა რომ კვლავინდებურად მხნედ და ვაჟკაცურად იბრძვის და იმარჯვებს, ეს ყველას კარგად მოეხსენება. მაშ, ახლაც ვუსურვოთ გამარჯვება და თავისი გულშემატკივრების გახარება.

ოთარ ჩრდილელი.

„ოსტატად კურთხევას“ ველოდებით

9 — 12 სექტემბერს ფოთში. სპორტკლუბ „აიას“ ბაზაზე ჩატარდება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება წყალსათხილამურო სპორტში. ახლეთ პრესტიჟულ შეჯიბრებაში, ცხადია, ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი წყალმოთხილამურე იასპარეზებს. ასე რომ, ამ სახეობის ქართველი მოყვარულები დიდი ინტერესით ელიან ტურნირის დაწყებას, მაგრამ ჩვენს ინტერესზე მაინც საგანგებოდ უნდა ითქვას და აი, რატომ: ჯერ ერთი ახლა ძნელი გასახსენებელია, უკანასკნელად როდის ვუმასპინძლეთ წყალმოთხილამურეთა ასეთ მნიშვნელოვან ასპარეზობას, მეორეც, რა ხანია ამ სახეობაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ლიდერების, ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური წყალსათხილამურო სპორტული სკოლის ფოთელი აღსაზრდელების

ხათუნა კორკელიასა და გენადი პეტრუხინის „ოსტატად კურთხევას“ ველოდებით და იმედი გვაქვს, რომ სწორედ შინ, ფოთში ასრულდება მათი და მათი აღმზრდელების დიდი ხნის ნატვრა. კორკელიამ და პეტრუხინმა ახლახან ნოვოპოლოცკში, მოზარდთა საკავშირო პირველობაში იასპარეზეს. ცუდად არ გამოსულან, გამოცდილ და ტიტულოვან მეტოქეებთან ბრძოლაში (ცალკეულ ვარჯიშებში) საპრიზო ადგილებიც დაიკავეს, მაგრამ სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებამდე სულ ცოტა დააკლდათ. საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა ისინი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად სავარჯიშოდ მიიწვიეს და 24 სექტემბერს სოჭში ნაკრები გუნდის შეკრებაზე გაემგზავრებიან.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

თეთრი წყარო

დიდი ინტერესი გამოიწვია პროფკავშირული სპორტული საზოგადოების სპარტაკიადამ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საქართველოს ალაკ ორჯონიკიძის რაიკომის მიერ დაწესებულ პრიზზე. შეჯიბრებაში, რომლის პროგრამაში იყო მინიფეხბურთი, ბაგირის გადაძალვა, ღერზე მიხიდვა და გირების აწევა, მონაწილეობდა რაიონის საკოლმეურნეო დაწესებულებათა 14 გუნდი.

შეჯიბრება მინიფეხბურთში თეთრიწყაროს გუნდმა მოიგო, სიმძიმეების აწევაში პირველობა არავის დაუთმეს კიცხის ფიზკულტურელებმა, ბაგირის გადაძალვაში ყველას ლაშელებმა აჯობეს.

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს თეთრწყაროელებმა, მეორე — ლაშელებმა, ხოლო მესამე — საქასრიელებმა.

ბოჩა ხარაბიშვილი.

ხვალ: სსრ კავშირი —საფრანგეთი

ჯერ იმის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობა შეიქმნა სადღეისოდ ევროპის 1988 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის III შესარჩევ ჯგუფში:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	5	4	1	0	10-1	9
გდრ	5	2	2	1	8-2	6
საფრანგეთი	5	1	2	2	2-4	4
ნორვეგია	4	1	1	2	2-5	3
ისლანდია	5	0	2	3	1-11	2

სსრ კავშირის ნაკრები საგრძნობლად დაწინაურდა შესარჩევ ჯგუფში, კერძოდ, ჩვენ 5 ქულით ვესწრებთ დღევანდელ მეტოქეს— საფრანგეთის ნაკრებს, მაგრამ, ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ზემოალნიშნული წყვილის გარდა დღეს ერთმანეთს ხვდებიან ისლანდიისა და ნორვეგიის გუნდებიც. მართალია უმთავრესი მატჩი 10 ოქტომბერს მოგველის სტუმრად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის ნაკრებთან, მაგრამ ფრანგებსაც არა აქვთ გადაწურული იმედი, ამიტომ ისინი მთელი ძალით იბრძოლებენ ხვალ ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე.

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს გამოეთხოვნენ უძლიერესი ფეხბურთელები პლატინი, ჟიერესი, როშტო, ბოსი, ტიგანა, მაგრამ ისინი, ვინც დღეს მწყობრშია, მაინც დიდი ძალაა და საბჭოთა ფეხბურთელებს ლიდერობის შესანარჩუნებლად მეტად დაძაბული ბრძოლა მართებთ.

საფრანგეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ა. მიშელმა სულ ახლახან გამოაქვეყნა თავისი ნაკრების შემადგენლობა. უცხოეთის პრესა საგანგებოდ გამოჰყოფს ნაკრების დებუტანტს კანტონს, რომელიც პაპენთან ერთად შეტევის ძლიერ დუეტს ქმნის წინა ხაზზე, უნდა აღვნიშნოთ სხვა ფეხბურთელებიც — ბატსი, ფერნანდესი, ტურე, ფარეონი, პასი.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს სსრ კავშირისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა შორის 9 სექტემბერს საკავშირო ტელევიზიის პირველი პროგრამით ვიხილავთ. თამაში დაიწყება 19 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.

I ლიგა

5 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო თამაშების 31-ე ტურის მატჩები.

„დინამო“ (ბათუმი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0 (1:0)

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 5 სექტემბერი.

„დინამო“: ბალაძე, თორლაშვილი, ანდღულაძე, დურდღაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, ბარათაშვილი, გორგილაძე, მაისურაძე.

„სპარტაკი“: ზალეევი, ფროლოვი, სტელმახი, სტეპანიანი (გიბილოვი), ზავადსკი, ძობლაევი, ჯიოევი, გაზდანოვი (კოკოევი), კაჩმაზოვი (ბაბენკო), გაზაევი, ცხოვრებოვი.

გაფრთხილეს ზალეევი.

მსაჯი ზ. ხერაზანდამოვი (ტაშკენტი).

მეტოქეები გათამაშების ცხრილის უახლოესი მეზობლები იყვნენ, ამდენად მათი უშუალო შეხვედრის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა ამისა, დინამოელებმა პირველ წრეში ანგარიშით 0:1 წააგეს ორჯონიკიძეში, ამიტომ სავსებით გასაგებია ის საბრძოლო გაწყობილება, რომელიც ამ მატჩში სუფევდა ბათუმელ მოთამაშეთა შორის.

მასპინძლებმა თავიდანვე ხელთ ჭდეს ინიციატივა და წარმატებასაც ადრევე მიაღწიეს, როცა მე-9 წუთზე ზედანიამ ზუსტი დარტყმით დამთავრა ბარათაშვილისა და გორგილაძის მიერ წამოწყებული კომბინაცია.

ეს გოლი ერთადერთი გამოდგა, თუმცა მასპინძლებს შესვენებამდეც და შემდეგაც არაერთხელ შეეძლოთ მეტოქის კარის აღება. სპასუხო შეტევებს სპარტაკელებიც ხშირად ახორციელებდნენ, ფროლოვს, გაზაევს ბურთის გატანის აშკარა შესაძლებლობა მიეცათ და ორივე შემთხვევაში დინამოელთა კარი მეკარე ბალაძემ იხსნა. ასევე კარგად ითამაშა ზალეევმა, რომელმაც რამდენიმე მეტად ძნელი დარტყმა მოიგერია. ორჯონიკიძელთა მეკარემ გაფრთხილება მიიღო იმის გამო, რომ მან საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ ხელით შეაჩერა „დინამოს“ თავდასხმელი გორგილაძე.

ოთარ მურვანიძე.
(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 0:3 (0:3)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 5 სექტემბერი.

„ტორპედო“: მიქაძე, პაპავა, თევზაძე, ჭელიძე, ფრუიძე, ბზიკაძე, ბიგვავა, მანგაძე, ტყავაძე, გოგრიჭიანი, შენგელია (გოგელიძე).

„კოტაიკი“: სუქიასიანი, მელქონიანი, სარქისიანი, ფარსადანიანი (ბაღდასარიანი), საკიანი, მირზოიანი, მელიქიანი, ხაჩატრიანი, ოგანესიანი (აგარიანი), სანამიანი (პეტროსიანი), სუქიასიანი.

გაფრთხილეს მირზოიანი, ბიგვავა.

მსაჯი ე. შკოლა (ლუცკი).

აბოვიანის „კოტაიკი“ ქუთაისის ტორპედოელთა უშუალო და კონკრეტული მეტოქეა, ისიც ასევე პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. თითოეულ ქულას ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ერთი, ისე მეორე გუნდისთვის, ამიტომაც აბოვიანელმა ფეხბურთელებმა სრული მობილიზება და მზადყოფნა გამოავლინეს ქუთაისის სტადიონზე, მაქსიმალური მობილიზებით ჩაატარეს მატჩი და ღირსეულად დაიმსახურეს გამარჯვება.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ქუთაისელ ფეხბურთელთა შესახებ. გასაოცარია ის უნებისყოფობა, მოუნდომებლობა და სრული აპათია, რაც ჩვენმა გუნდმა ამ დღეს გამოიჩინა. ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ტორპედოელ ფეხბურთელს, რომელიც ოდნავ მაინც შეეცადა, რაღაც სასარგებლო გაეკეთებინა მინდორზე. გუნდის თამაში სრული ქაოსი სუფევდა, არ იყო ურთიერთგაგება, ბრძოლის სურვილი ან მაყურებელთა წინაშე თავის გამოჩენის ელემენტარული სურვილი.

ვისთან, თუ არა აბოვიანის „კოტაიკთან“ უნდა ეთამაშათ ტორპედოელებს სრული ძალით? ჯერ ერთი, საამისო სტიმული უნდა შეექმნა უშუალოდ სატურნირო მდგომარეობას, გარდა ამისა, პირველ წრეში „ტორპედო“ ანგარიშით 0:2 დამარცხდა აბოვიანში. ეტყობა, ეს ექსტრემალური ვითარება სრულიადაც არ აღელვებთ ჩვენს ფეხბურთელებს და ეს მეტად მნიშვნელოვანი მატჩიც მათ აბსოლუტურად ყველა მაჩვენებლით წააგეს.

თვით ეს ანგარიში 0:3 თავისთავად ნათლად განმარტავს ყველაფერს: აბოვიანელებს სრული უპირატესობა ეპყრათ, მდგომარეობის ბატონ-პატრონნიც ისინი იყვნენ მინდორზე, ორი ქულის აღება მათ სრულიადაც არ გასჭირვებიათ.

პირველი ბურთი ტორპედოელთა კარში მე-8 წუთზე გაიტანა ოჰანიანმა, მე-13 წუთზე სანამიანმა ანგარიში 2:0-მდე აიყვანა, მე-20 წუთისთვის კი მელიქიანმა საბოლოო წერტილი დაუსვა „კოტაიკის“ გამარჯვებას. არც მანამდე, არც მერე ტორპედოელები არც ცდილან გარდატეხა შეეტანათ თამაშში.

საინტერესოა, რა განმარტებას მისცემენ ქუთაისის „ტორპედოს“ გულშემატკივრებს ან თვით ფეხბურთელები ან მათი ხელმძღვანელები? მდგომარეობა უკიდურესად საგანგაშოა!

თამაზ ხარაბაძე.
(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).

* * *

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 2:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:2, „დაუგავა“ (რიგა) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 3:0, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:0, „შინიკი (იაროსლავლი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — 0:2, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 0:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „პამირი“ (დუშანბე) 0:2, „[illegible]ალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 3:1.

32-ე ტურის მატჩები გაიმართება დღეს. ბათუმის დინამოელები შინ მიიღებენ აბოვიანის „კოტაიკს“, ხოლო ქუთაისის ტორპედოელები — ორჯონიკიძის „სპარტაკს“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომ.“	30	20	9	1	53-19	49
„ლოკომ.“	30	17	10	3	42-18	44
„დაუგავა“	28	15	9	4	47-22	39
„როსტ.“	29	12	10	7	39-32	34
„კოლოსი“	30	14	4	12	42-44	32
„პამირი“	30	13	6	11	40-35	32
„კუზბასი“	30	11	10	9	28-21	32
ასკ „კარპ.“	30	11	9	10	43-32	31
„ფახთაქ.“	30	11	9	10	31-30	31
„გეოლოგი“	30	11	6	13	31-37	28
„მეტალ.“	29	10	8	11	40-36	28
„დინ.“ სტ.	29	9	10	10	31-36	28
„დინ.“ ბ.	30	9	9	12	25-26	27
„ზარია“	29	8	11	10	28-40	27
„შინიკი“	29	10	6	13	16-28	26
„კრ. სოვ.“	30	8	9	13	25-34	25
„კოტაიკი“	29	10	4	15	34-42	24
„სპარტაკი“	29	8	8	13	22-29	24
„როტორი“	30	9	6	15	31-42	24
ასკ რ.	29	10	3	16	22-36	23
„ტორპ.“ ქ.	30	6	10	14	20-39	22
„ფაკელი“	30	5	10	15	21-33	20

ფედერაციის თასზე

6 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების V ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელები ბაქოში თამაშობდნენ „ნეფთჩისთან“, ანგარიშით 1:0 გამარჯვება მოიპოვეს ბაქოელებმა.

ლანჩხუთის „გურია“ ერევანში შეხვდა „არარატს“. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

ამავე დღეს ვილნიუსის „ჟალგირისმა“ დიდი ანგარიშით — 6:0 დაამარცხა ალმა-ათის „ქაირათი“. ლენინგრადის „ზენიტმა“ საკუთარ მინდორზე მარცხი იწვნია მინსკის „დინამოსთან“ შეხვედრაში — 0:3.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ და კიევის „[illegible]“ შეხვედრა, როშელიც დნეპროპეტროვსკში შედგა, დამთავრდა „დნეპრის“ გამარჯვებით — 4:2. ფრედ ითამაშეს ხარკოვის „მეტალისტმა“ და დონეცკის „შახტორმა“ — 0:0.

თასის გათამაშების კალენდარში ცვლილება მოხდა. 7 სექტემბრის ნაცვლად 6 სექტემბერს ითამაშეს მოსკოვის გუნდებმა „დინამომ“ და „ტორპედომ“. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს დინამოელებმა. მოსკოვის „სპარტაკისა“ და ცსკა-ს მატჩი შედგა გუშინ.

სასჯელი მკაცრი, სამართლიანი

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიამ განიხილა მოსკოველი ვ. ბუტენკოსა და ლენინგრადელი გ. გალიკოვის საკითხი. ვ. ბუტენკომ იმსაჯა ბაქოს „ნეფთჩისა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“, ხოლო გ. გალიკოვმა — ლანჩხუთის „გურიისა“ და მოსკოვის „დინამოს“ შეხვედრები. ორივემ უხეში შეცდომები დაუშვა, რამაც გავლენა იქონია მატჩების შედეგებზე. ვ. ბუტენკო სისტემატურად ცდებოდა და ყოველთვის სტუმართა სასარგებლოდ, კერძოდ, მან არ დანიშნა აშკარა 11-მეტრიანი, როცა „დნეპრის“ საჯარიმო მოედანზე წააქციეს ჯავადოვი, ჩაშალა ბაქოელთა ერთ-ერთი სახიფათო შეტევა და, როგორც თვითონ განმარტა, ამ მომენტში „შემთხვევით“ დაუსტვინა.

ვ. ბუტენკო ერთხანს ერთ-ერთ საუკეთესო არბიტრად ითვლებოდა, იგი რეკომენდებულიც იყო მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე, ახლა კი მას ერთი თვით აუკრძალეს მსაჯობა.

ლანჩხუთის „გურიისა“ და მოსკოვის „დინამოს“ მატჩში გ. გალიკოვმა არ დანიშნა პენალტი, როცა აკრძალული ილეთით წააქციეს მოსკოველი სტუკაშოვი, თუმცა იგი ამ მომენტში ახლოს იმყოფებოდა შემთხვევის ადგილთან.

ვინაიდან გ. გალიკოვს უწინაც ჰქონია უხეში შეცდომები, მას საერთოდ აუკრძალეს საკავშირო შეჯიბრებათა მსაჯობა.

მკაცრი სასჯელები გამოიტანეს „ნეფთჩისა“ და „დნეპრის“ მატჩის გვერდითი მსაჯების მიმართაც. ვ. ბიკოვსკის აეკრძალა საკავშირო შეჯიბრებათა მსაჯობა, ხოლო მ. იოფე I ლიგის გათამაშებაში დისკვალიფიცირებულია ერთი თვით, ხოლო უმაღლეს ლიგაში — სეზონის ბოლომდე.

მსაჯთა საკავშირო კოლეგიის დადგენილებას 10 სექტემბერს განიხილავს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი.

II ლიგა

განვლილ კვირას გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXII ტურის მატჩები.

ჩვენმა სამტრედიელმა კორესპონდენტმა **ანზორ სირაძემ** ტელეფონით შეგვატყობინა სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და ფოთის „კოლხეთის“ მატჩის შესახებ:

სტუმრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ზონის ლიდერს, პირველი 45 წუთის განმავლობაში სამტრედიელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ დაძლიეს მეტოქის წინააღმდეგობა. „ლოკომოტივს“ საბოლოოდ გამარჯვება მოუტანა ერთადერთმა გატანილმა გოლმა — რუხაძემ 49-ე წუთზე გარღვევაზე გაიყვანა პაიჭაძე, ეს უკანასკნელი დრიბლინგით გასცდა რამდენიმე მცველს და ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0. ფოთელები ბოლომდე თავგამოდებით იბრძოდნენ და მასპინძლებიც იძულებული იყვნენ ამ მინიმალურ ანგარიშს დაჯერებოდნენ.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 3:1, „დილა“ (გორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 1:1, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „ვოსხოდი“ (სუმგაითი) 1:0, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 3:1, „გოიანანი“ (ყაზახი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 2:1. ტყიბულის „მეშახტისა“ და სოხუმის „დინამოს“ მატჩი გადატანილია 19 სექტემბრისთვის.

3 სექტემბერს ლენინაკანში შედგა გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „ოლიმპიასა“ და სოხუმის „დინამოს“ შორის. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „ოლიმპიამ“.

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 8 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომ.“	22	16	4	2	34-10	36
„დინამო“	20	11	5	4	38-20	27
„შევ.“-სპი	22	11	3	8	40-26	25
„ქიაფაზი“	22	10	4	8	38-29	24
„კოლხეთი“	22	10	4	8	33-28	24
„ოლიმპია“	22	10	2	10	30-33	22
„ვოსხოდი“	22	9	3	10	27-30	21
„ყარაბახი“	22	9	2	11	23-32	20
„დილა“	22	8	4	10	22-30	20
„მეტალურ.“	22	9	1	12	24-26	19
„ლორი“	22	9	1	12	21-24	19
„სპარტაკი“	21	8	3	10	29-32	19
„ავტომობ.“	22	8	3	11	29-35	19
„მეშახტე“	21	8	3	10	23-29	19
„გოიანანი“	22	7	3	12	13-36	17
„კოლხოზჩი“	22	6	5	11	22-31	17

სტუმრად იუგოსლავიაში

აგვისტოს დასასრულს იუგოსლავიის ქალაქ სკოპლეში გაიმართა 1970-71 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მიეძღვნა იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ყოფილი კაპიტნის ჯ. სიმონოვსკის ხსოვნას. ტურნირში მონაწილეობდნენ სკოპლეს „ვარდარი“ და „რაბოტნიჩკი“, ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადის „პირინი“ და ბათუმის „დინამოს“ მოზარდი ფეხბურთელები, რომელთა ხელმძღვანელია რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ლ. ვერულიძე.

ბათუმელ ჭაბუკებს პირველი თამაში „ვარდართან“ ჰქონდათ, ეს გუნდი კი ერთ-ერთი საუკეთესოა იუგოსლავიაში, დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0. შემდეგ ბათუმელი ფეხბურთელები „პირინს“ შეხვდნენ, ფრედ დამთავრეს მატჩი — 2:2, ბოლოს კი ანგარიშით 2:0 დაამარცხეს „რაბოტნიჩკი“.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: „ვარდარი“, „დინამო“, „პირინი“, „რაბოტნიჩკი“.

ბათუმელ ფეხბურთელთაგან კარგი თამაშით გამოიჩინეს თავი მ. თურმანიძემ, ლ. ნაკაშიძემ, ს. ხარაზმა, გ. შეგრელიძემ, ბ. შარაბიძემ, დ. უჯმაჯურიძემ და სხვებმა. ტურნირი მიმდინარეობდა „ვარდარის“ ცენტრალურ სტადიონზე, სტუმრებმა დაათვალიერეს ადგილობრივი ღირსშესანიშნაობები და ისტორიული ადგილები.

საბჭოთა ჭაბუკების გამარჯვება

ქ. ანკარაში შედგა 18 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი თურქეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

თამაში მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 1:0, ეს გოლი 69-ე წუთზე გაიტანა სალენკომ.

საქართველოს პირველობა

5 და 6 სექტემბერს შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 30-ე ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის:

„კახეთი“ (თელავი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:0, „ალაზანი“ (გეგეჭკორი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:1, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ივერია“ (ხაშური) 3:3, „სკური“ (წალენჯიხა) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 9:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:0, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:2, „სულორი“ (ვანი) — „არმაზი“ (მცხეთა) 0:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (გაგრა) 0:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:0.

„ავაზა“ იწვევს

ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა „ავაზა“ თავის საწვრთნელ ბაზაზე დიღომში იწვევს 1976-1981 წლებში დაბადებულ ბავშვებს.

მიღება იწარმოებს ყოველ დღე 9-დან 11 და 14-დან 16 საათებში.

საბჭოთა და ამერიკელ წყალში მხტომელთა სამატჩო შეხვედრა

სახელოვანი პატრიციას მემკვიდრე

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის წყალში მხტომელთა სამატჩო შეხვედრაზე ჩვენი სიმპათიები სტუმართა გუნდის ერთ-ერთ წევრის კელი მაკ-კორმიკისკენ გადაიხარა.

თუმცა, 27 წლის კელი შეჯიბრების მონაწილეთა შორის ყველაზე



კელი მაკ-კორმიკი

უფროსი იყო, ჩვენი ყურადღება მან, უწინარეს ყოვლისა, გვარით მიიპყრო.

მაკ-კორმიკი!

პატრიცია მაკ-კორმიკი ჰელსინკისა და რომის ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი იყო. ჰელსინკშიც და რომშიც მან 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაშიც გაიმარჯვა და კოშკზე შეჯიბრებაშიც. 1951 წელს პატრიცია მაკ-კორმიკი კოშკიდან ხტომაში პანამერიკული თამაშების ჩემპიონი გახდა, 1955 წელს კი ამ სახეობაშიც გაიმარჯვა და ტრამპლინიდან ხტომაშიც.

მისი წარმატებები დღემდე არც ერთ ქალს აღარ გაუმეორებია.

რა საერთო აქვთ კელი და პატრიცია მაკ-კორმიკებს?

როცა ამით დავინტერესდით და კელის გავესაუბრეთ, მას თვალები აუციმციმდა. თურმე დედა-შვილი ყოფილან.

● **წყალში ხტომა ალბათ დედამ შეგაყვარათ, არა?**

— არა. ვარჯიში მამამ დამაწყებინა. დედასაც მამა ავარჯიშებდა.

● **ალბათ დედის წარმატებების გამეორებაზე ოცნებობთ.**

— სამწუხაროდ, ოცნება ოცნებად დამრჩა. ჩემს ასაკში დედას ყველა უმაღლესი მწვერვალი დაპყრობილი ჰქონდა. ეს კია, მეც ამერიკის ჩემპიონი გავხდი, პანამერიკულ თამაშებშიც გავიმარჯვე, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე კი ვერცხლის მედალი მოვიპოვე. იქნებ ოლიმპიური ჩემპიონიც გავხდე, მაგრამ დედამ ყველა ეს ჯილდო და ტიტული რამდენჯერმე მოიპოვა, მე კი ამდენს ვეღარ მოვასწრებ.

● **წყალში ხტომის გარდა რა გიტაცებთ?**

— წყალსათხილამურო სპორტი!

● **კიდევ რას საქმიანობთ?**

— კოლეჯში ვსწავლობ. ორ წელიწადში დავამთავრებ.

ცხადია, პატრიცია მაკ-კორმიკის საქმიანობითაც დავინტერესდით. მას ჩვენთვის ცოტა არ იყოს უცნაური პროფესია ჰქონია: როგორც დიდად სახელგანთქმულ, სიმპათიურ და კარგად მოსაუბრე მანდილოსანს, წვეულებებზე, მეჯლისებზე და სხვა საზეიმო თავყრილობებზე სიტყვის წარმოსათქმელად იწვევენ ხოლმე.

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში გამართული შეჯიბრების ბოლო დღეს კელი დიდხანს ამართლებდა ჩვენს იმედებს. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხუთი სავალდებულო ნახტომის შესრულების

ირინა ლაშკო



ვალერი სტაცენკო

შემდეგ იგი პირველი იყო. კელი ლიდერობდა შემდევნო სამი ნახტომის ჩათვლითაც, მაგრამ მეცხრე გამოსვლის შემდეგ მესამე ადგილზე გადაინაცვლა, წინ კი საბჭოთა სპორტსმენი ირინა ბობკოვა გავიდა. მეორე ადგილზე გადაინაცვლა მისმა თანაგუნდელმა ირინა ლაშკომ. უკანასკნელმა, მეათე



ნახტომმა ლაშკოს გამარჯვება მოუტანა (567 ქულა), მეორე იყო ბობკოვა (566,40), ხოლო მესამე — მაკ-კორმიკი (566,30).

სამატჩო შეხვედრის დასკვნით დღეს ვაჟები კოშკიდან ხტომაში ასპარეზობდნენ. აქ ლიდერი თითქმის ყოველი ნახტომის შემდეგ იცვლებოდა. ამერიკელი რონ მაიერი იყო ერთადერთი, ვინც ვერც ერთი ნახტომის შემდეგ ვერ გადაინაცვლა ლიდერებში.

საბოლოოდ ყველას აჯობა ვალერი სტაცენკომ (სსრკ) — 643,30, მეორე იყო მისი თანაგუნდელი ანდრეი კვოჩინსკი (628,20), ხოლო მესამე — მეტიუ სკოგინი (აშშ) — 626,23.

საინტერესოა, რომ კვოჩინსკის მერვე ნახტომისათვის ხუთიდან სამმა არბიტრმა 10 ბალი დაუწერა, ხოლო ორმა — 9; ეს ამ შეჯიბრებაში ყველაზე კარგი მაჩვენებელი აღმოჩნდა, მაგრამ, იმავე დროს, კვოჩინსკიმ მიიღო ყველაზე დაბალი შეფასებაც: მეცხრე ნახტომისთვის მას სამმა მსაჯმა 4, ერთმა 3,5 და ერთმაც 3 ბალი დაუწერა.

საერთო გუნდურ პირველობაში საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა — 68:48.

ავთანდილ გურახაშვილი.

მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო ველოსპორტში

ერეკლე ბურაკოვი ტრიუმფალურად ვიდრე გზატკეცილზე

ფილახი (ავსტრია). დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო ველოსპორტში. სატრეკო სახეობებში წარმატების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენები აქ შედარებით სუსტად გამოვიდნენ. მაგალითისათვის თუნდაც ჩემპიონატის ბოლო სახეობის შედეგები გაიხსენოთ. ჯგუფურ რბოლაში 180 კილომეტრზე ჩვენს ველოსიპედისტთა შორის საუკეთესო შედეგი სიმფეროპოლელ ვიქტორ კლიმოვს ჰქონდა. მართალია გამარჯვებულს მხოლოდ 35 წამით ჩამორჩა, მაგრამ ამ შედეგმა მას მერვე ადგილი მოუტანა.

მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო რბოლა ფრანგმა რიშარ ვივიენმა მოიგო — 4:12.47. ეს იყო საფრანგეთის გუნდის მიერ ამ შეჯიბრებაში მოპოვებული მესამე ოქროს მედალი (ხუთი უმაღლესი ჯილდო მხოლოდ საბჭოთა ველოსიპედისტებს აქვთ, მაგრამ უმთავრესად სატრეკო სახეობებში).

ვერცხლის მედალი საგზატკეცილო რბოლაში ჰართმუტ ბოლტსს (გფრ) ხვდა, მესამე ადგილზე კი დანიელი ალჭქს პედერსენი გავიდა.

კანადის თასი ჰოკეიში

ჰამილტონი. კანადის თასის გათამაშებაში ჰოკეისტებმა მეხუთე ტურის შეხვედრები ჩაატარეს: სსრ კავშირი — კანადა 3:3, ჩეხოსლოვაკია — აშშ 3:1, შვეიცია — ფინეთი 3:1.

წინასწარი შეხვედრების შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება.

	თ	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
კანადა	5	3	2	0	19-13	8
სსრ კავშირი	5	3	1	1	22-13	7
შვეიცია	5	3	0	2	17-14	6
ჩეხოსლოვაკია	5	2	1	2	12-15	5
აშშ	5	2	0	3	13-14	4
ფინეთი	5	0	0	5	9-23	0

დღეს, 8 სექტემბერს გაიმართება პირველი ნახევარფინალური მატჩი საბჭოთა კავშირისა და შვეიცის ჰოკეისტებს შორის, ხვალ კი მონრეალში ერთმანეთს კანადისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები შეხვდებიან. აშშ-სა და ფინეთის ჰოკეისტებმა შეჯიბრება უკვე დამთავრეს.

ეკრანზე და ეთერში...

ცენტრალური ტელევიზია. 8 სექტემბერი. დილის ტანვარჯიში— 9.00 (2); კანადის თასი ჰოკეიში: კანადა — სსრ კავშირი — 9.35 (1); რიტმული ტანვარჯიში — 19.30 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში — 21.30 (2).

საქართველოს რადიო. 8 სექტემბერი. სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. პირველი ლიგა — 22.00.

„სპორტლოტო"

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 36-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45"-დან: 1 (კალათბურთი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 11 (ფრენბურთი), 24 (ხელბურთი), 33 (ფეხბურთი), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 8 (ტრეკზე ველორბოლა), 17 (ციგურაობა), 21 (ცურვა), 27 (მშვილდოსნობა), 28 (ტყვიის სროლა),

„ლელოს შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 10 სექტემბერს.

შემდეგი მეტოქე უფრო ძლიერია

ნიუ-იორკი. ეს უკვე თავისთავად დიდი წარმატებაა — აშშ-ის ღია ჩემპიონატში თექვსმეტ უძლიერეს ჩოგბურთელთა შორის მოხვედრა. მოსკოველმა ანდრეი ჩესნოკოვმა ეს უფლება ურუგვაელ დიეგო პერესთან ჯამარჯვების შემდეგ მოიპოვა — 6:1, 6:2, 6:2. როგორც ხედავთ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ამ ორთაბრძოლის მოგება არ გასჭირვებია.

მერვედფინალში მას ინდოეთის პირველი „ჩოგნის" რამეშ კრიშნანის სახით უფრო ძლიერი მეტოქე ეყოლება. კრიშნანმა მეთექვსმეტედფინალში ამერიკელი იოჰან კრიკი დაამარცხა — 6:3, 6:4, 6:3.

მინსკელი ნატალია ზვერევა ასპარეზობას გამოეთიშა. მას აჯობა უიმბლდონის ტურნირის ექვსგზის ჩემპიონმა კრის ევერტმა (აშშ) — 6:0, 6:2.

დამარცხდა ჩვენი ქალთა წყვილიც. მოსკოველებს ნატალია ბიკოვასა და სვეტლანა პარხომენკოს ელიზაბეტ სმაილმ (ავსტრალია) და კეტი ჯორდანმა (აშშ) მოუგეს — 3:6, 6:3, 6:1.

ელეპ-ინფორმაცია

კატოვიცე. აქ დამთავრებულ 18 წლამდე კლასიკური სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე საბჭოთა სპორტსმენებმა 6 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

გამარჯვებულთა შორის არის ქუთაისელი გოგი კოლუაშვილი, რომელმაც 88 კგ წონაში აჯობა ყველას.

ტელეტაიპი - ტაიმსველი

კარლსჰამნი (შვეცია). აქ გაიმართა ევროპის ღია ჩემპიონატი აფრისნობაში „სოლინგის" კლასის ნავებს შორის. პირველი ადგილი და ოქროს მედალი ნიკოპოლელმა გიორგი შაიდუკოვმა მოიპოვა. გამარჯვებულს 49,4 საჯარიმო ქულა ჰქონდა. მომდევნო ადგილებზე გდრ-ის წარმომადგენელი იოჰენ შიუმანი (52,7 ქულა) და კანადელი ჰანს ფოგი (67,0) გავიდნენ.

ლონდონი. ბალახის ჰოკეისტ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ ტურში საბჭოთა გუნდმა საფრანგეთის სპორტსმენები დაამარცხა — 6:0 (2:0). სხვა შეხვედრები დამთავრდა ასე: ჰოლანდია — შოტლანდია 5:0, ბელგია — უელსი 1:0. ჩვენს ქვეჯგუფში ჯერჯერობით საბჭოთა და ჰოლანდიელი ჰოკეისტები ლიდერობენ, რომლებსაც 6-6 ქულა აქვთ.

საპორო. იაპონიის ამ ქალაქში მოეწყო პირველი საერთაშორისო მარათონი, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა მძლეოსნები ლიუცია ბელიაევა და ფეოდორ რიეოვი (ორთავემ პირველი ადგილები დაიკავა). ბელიაევამ მანძილი 2:42. 17-ში დაფარა, რიეოვმა — 2:24.48-ში.

ცხელაო, ვერ იტყვი. შემოდგომა დადგა და სიგრილე შეეპარა დღეს. ასე იყო გუშინწინ, შემოდგომის პირველ კვირა დღესაც. ზაფხულის მცხუნვარება აღარ იგრძნობოდა თბილისში, დროდადრო ქარიც წამოუბერავდა, თუმცა, ხალხი ისევ საზაფხულოდ, შილიფად ჩაცმული გამოსულიყო ქუჩებში.

თბილისის ზღვის ის ყურე, სადაც საიალქნო კლუბი დგას, სახლს ჰგავდა, მყუდრო, თბილ ბინას, სადაც ვერც ქარი შეგაშინებს, ვერც ავდარი. ერთ ნაპირთან ოცამდე კაცი შეგროვილიყო, წყალში შეეტოპათ და ისე თევზაობდნენ. მათი გარინდება და მოთმინება კიდევ უფრო აძლიერებდა სიმშვიდისა და სიმყუდროვის განცდას. ყურის მიღმა კი ზღვა და ქარი ბობოქრობდა. ზღვა აქოჩრილიყო, ხშირი და მოკლე ტალღებისგან ერთიანად გადათეთრებულიყო. ერთი სიტყვით, ნამდვილი საიალქნო ამინდი იდგა და „საზაფხულო არდადეგების" შემდეგ სწორედ ამ დღეს განახლდა მცირე საკრეისერო ნავებს შორის თბილისის ზღვის თასის გათამაშება.

„ასეთ ამინდში მხოლოდ ძალიან გამოცდილი აფრისნები იმარჯვებენ. „იორი" თავიდანვე დაწინაურდა და, ალბათ, ფინიშთანაც პირველი მოვა", — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის არბიტრმა დიმიტრი ვარძელაშვილმა და არც შემცდარა. სპორტის ოსტატ ვალიკო ქიტუაშვილის ეკიპაჟმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

მალე სხვებმაც დააშთავრეს რბოლა. დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი თბილისელი „ზღვის მგლები" ნელ-ნელა იკრიბებოდნენ ნაპირზე, იმ ნაპირზე, რომელიც ასე ახლოს და... ასე შორს არის ქალაქიდან. თემქის დასახლების კორპუსები თითქოს ხელის გაწვდენაზეა, მაგრამ, რომ იცოდეთ, რა შორს არის აქედან ქალაქამდე ანუ ხმაურამდე, სმოგამდე და სტრესებამდე.

დაესწარით ერთხელ ამ შეჯიბრებას, რომელიც ყოველ კვირა დღეს იმართება თბილისის ზღვაზე, და მიხვდებით, რატომ უყვართ ასე ეს ადგილი თბილისელ მეზღვაურებს.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჯიჯინაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07164